ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ზ-ს/67-17

"03" 02 2017 წ.

დადგენილება №000797
სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

03.02.2017წ. ქ. თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ ვლადიმერ ყუშიტაშვილმა განვიხილე 2017 წლის 02 თებერვლის №000797 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი **შ.პ.ს. "ნუტრიმაქსი"-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი №206330709 დირ. ბექა ბექაია, პირადი №01011022232, მის: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №68ა) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, ზემო ფონიჭალა, ღოღობერიძის ქ. №67, ნაკვეთ №34/005-ში (საკ. კოდი №01.18.13.034.027) შ.პ.ს. "ნუტრიმაქსი"-ს მიერ განხორციელდა ოფისის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2651139 AR1406785 15.06.2016წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ფასადებზე შეცვლილია ვიტრაჟების და ფანჯრების ვიზუალი. „4-4" და „ბ-ბ" ღერძების გადაკვეთაზე გაზრდილია კოლონის გაბარიტები. +7.600 ნიშნულზე „გ-გ" ღერძთან გაუქმებულია წყალსარინი მილები. გაუქმებულია მოპირკეთება. ნაწილობრივ შეცვლილია ღებვის ფერი. შეცვლილია რელიეფის ნიშნულები. აივნის ფილები შესალესი და შესაღებია. „1-4" ფასადი: შეცვლილია კარების ვიზუალი. გაუქმებულია შშმ პირებისათვის განკუთვნილი ელექტრო-მექანიკური ამწე. -0.600 ნიშნულზე გაუქმებულია საყვავილეები. „2-3" მონაკვეთში შემცირებულია კიბის საფეხურების რაოდენობა, ასევე კიბე შესალესი და შესაღებია. „4-1" ფასადი: დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო და გამწოვი მილები. „4-4" და „1-1" ღერძებთან დამატებით მოწყობილია წყლის საწრეტები. „ა-გ" ფასადი: შეცვლილია სარეკლამო აბრის ვიზუალი და ადგილმდებარეობა. „გ-ა" ფასადი: აივნებზე შეცვლილია მოაჯირების მასალა და გაუქმებულია საჩრდილობლები. შეცვლილია ვიტრაჟების ვიზუალი. „ა-ა" ღერძის გარეთ პარაპეტზე დამატებით მოწყობილია წყლის საწრეტი ხვრელი. 0.000 ნიშნულზე „4-4" და „ბ-ბ" ღერძების გადაკვეთაზე გაზრდილია კოლონის გაბარიტები.

2017 წლის 02 თებერვალს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის "ზ" პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტების მიერ შედგა შემოწმების აქტი №000797 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №423891/12 30.11.2016წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. "ნუტრიმაქსი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ზემო ფონიჭალა, ღოღობერიძის ქ. №67, ნაკვეთ №34/005-ში (საკ. კოდი №01.18.13.034.027) შ.პ.ს. "ნუტრიმაქსი"-ს მიერ განხორციელდა ოფისის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2651139 AR1406785 15.06.2016წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ნუტრიმაქსი" დაჯარიმდეს 3.000 (სამიათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ნუტრიმაქსი"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი**: სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება**: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ნუტრიმაქსი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7);

სამსახურის უფროსის
მოადგილე **ვ. ყუშიტაშვილი**

საგადახდო დავალება No 8052

Transfer Order No 8052

ვალუტირების თარიღი/Value Date: 06/04/2017 რეფერენსი/reference: 5333150109

იგრძენი მომავალი საქართველოს ბანკი CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს ნუტრიმაქსი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE65BG0000000901234400GEL

თანხა/Amount
3 000.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
სამი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს "ნუტრიმაქსი"

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
206330709

მიმღების დასახელება/Recipient
ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
06/04/2017

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილება #000797 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info
ჯარიმა შენობა ნაგებობების პროექტის დარღვევისათვის

შტამპი: ს.ს. საქართველოს ბანკი J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანლის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date:

საგადახდო დავალება No 8052

Transfer Order No 8052

ვალუტირების თარიღი/Value Date: 06/04/2017 რეფერენსი/reference: 5333150109

იგრძენი მომავალი საქართველოს ბანკი CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს ნუტრიმაქსი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE65BG0000000901234400GEL

თანხა/Amount
3 000.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
სამი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს "ნუტრიმაქსი"

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
206330709

მიმღების დასახელება/Recipient
ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
06/04/2017

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილება #000797 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info
ჯარიმა შენობა ნაგებობების პროექტის დარღვევისათვის

შტამპი: ს.ს. საქართველოს ბანკი J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანლის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date:

საგადახდო დავალება No 8053

Transfer Order No 8053

ვალუტირების თარიღი/Value Date: 06/04/2017 რეფერენსი/reference: 5333150096

იგრძენი მომავალი საქართველოს ბანკი CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს ნუტრიმაქსი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE65BG0000000901234400GEL

თანხა/Amount
4 000.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს "ნუტრიმაქსი"

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
206330709

მიმღების დასახელება/Recipient
ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
06/04/2017

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილება #000799 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info
ჯარიმა შენობა ნაგებობების პროექტის დარღვევისათვის

შტამპი: "ს.ბ. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანლის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date:

საგადახდო დავალება No 8053

Transfer Order No 8053

ვალუტირების თარიღი/Value Date: 06/04/2017 რეფერენსი/reference: 5333150096

იგრძენი მომავალი საქართველოს ბანკი CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს ნუტრიმაქსი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE65BG0000000901234400GEL

თანხა/Amount
4 000.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს "ნუტრიმაქსი"

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
206330709

მიმღების დასახელება/Recipient
ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
06/04/2017

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილება #000799 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info
ჯარიმა შენობა ნაგებობების პროექტის დარღვევისათვის

შტამპი: "ს.ბ. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანლის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date:

№ 09/100

04.08. 2015 წ.

ხალიკ ბანკი საქართველო
HALYK BANK
HALYK BANK GEORGIA

შპს აგრო თრეიდინგ ჯორჯიას

თქვენს მიერ 03.08.2015 - ში წარმოდგენილი წერილის პასუხად გაცნობებთ რომ სს „ხალიკ ბანკი საქართველო“ აცხადებს თანხმობას, შპს „აგრო თრეიდინგ ჯორჯიას“ კუთვნილ ტერიტორიაზე (მდებარე თბილისში, დასახლება ზემო ფონიჭალა, ღოღობერიძის N67, საკადასტრო კოდები: 01.18.13.034.027, 01.18.13.034.026, 01.18.13.027.011, 01.18.13.034.030, 01.01.947, 01.01.928, 01.01.969), რომელიც იპოთეკით დატვირთულია სს „ხალიკ ბანკი საქართველოს“ სასარგებლოდ, განხორციელდეს ნებისმიერი ტიპის სამშენებლო-სადემონტაჟო სამუშაოები.

შოთა ჭყოიძე

გენერალური დირექტორის
მოადგილე

სს "ხალიკ ბანკი საქართველო" JSC "HALYK BANK GEORGIA" АО "ХАЛЫК БАНК ГРУЗИЯ" 204523653 7

ბლანკი სერიული ნომრის გარეშე ბათილია

ს.ს. „ხალიკ ბანკი საქართველო“, საქართველო, თბილისი, 0171, შარტავას ქ. 40
ტელ./ფაქსი: +995 32 224 07 07; E-mail: info@hbg.ge; www.halykbank.ge
JSC “Halyk Bank Georgia”, 40, Shartava Str., Tbilisi, 0171, Georgia
Tel.:/Fax: +995 32 224 07 07; E-mail: info@hbg.ge; www.halykbank.ge

0829079

ნასყიდობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 10 მარტი 2015 წ.

სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო" (*შემდგომში,* „გამყიდველი"), წარმოდგენილი სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის შტატგარეშე მომუშავე, გვანცა ნასყიდაშვილის (პირადი №01019023615) სახით, მოქმედი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2015 წლის 12 იანვარს გაცემული N4/1193 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

და **შპს "აგრო თრეიდინგ ჯორჯია"** (ს/კ 206330709). (*შემდგომში,* „მყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ბექა ბექაიას (პირადი № 01011022232) სახით, შემდეგში თითოეული წოდებული, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად, როგორც „მხარეები",

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანებისა და ,,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს "აგრო თრეიდინგ ჯორჯიასათვის" პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის №301 განკარგულების (შემდეგში: ,,განკარგულება") საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში, „ხელშეკრულება").

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

„გამყიდველი" გადასცემს, ხოლო „მყიდველი" საკუთრებაში იღებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ფონიჭალის ზემო დასახლება, ღოღობერიძის ქ. N67-ში არსებული 2021 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ 01.18.13.034.026) ქალაქ თბილისში, დასახლება ზემო ფონიჭალაში, ღოღობერიძის ქ. N67-ში (ნაკვ. 34/005) / ქ. თბილისში, ღოღობერიძის ქ. N67-ში (ნაკვ. 34/024) არსებული 20451 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა N1, N2 (ნანგრევი), N3 (ნანგრევი) და N4 (ს.კ N01.18.13.034.027) ქალაქ თბილისში ფონიჭალის ზემო დასახლება, ღოღობერიძის ქ.

N67-ში არსებული 361 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ N01.18.13.027.011) ქალაქ თბილისში, დასახლება ზემო ფონიჭალაში, ღოღობერიძის ქ. N67, წინ მდებარე (ნაკვ. 34/007) / ქალაქ თბილისში, ღოღობერიძის ქ. N67-ში არსებული 7561 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა N1 (ს.კ N01.18.13.034.030) ქალაქ თბილისში ღოღობერიძის ქ. N67-ში არსებული 165 მ რკინიგზის (ლითონის) ლიანდაგი (ს.კ 01.01.947) ღოღობერიძის ქ. N67-ში არსებული 174 მ რკინიგზის ლიანდაგი (ს.კ. N01.01.928) ქალაქ თბილისში, ღოღობერიძის ქ. N67-ში არსებული 78 მ რკინიგზის (ლითონის) ლიანდაგი (ს.კ N01.01.969) (შემდგომში - „ქონება“) „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით.

მუხლი 2. საპრივატიზებო თანხა და მისი გადახდის წესი

2.1. „მყიდველი'' ვალდებულია გადაიხადოს საპრივატიზებო თანხა 1 (ერთი) ლარის ოდენობით, ,,განკარგულების“ გამოცემიდან 1(ერთი) თვის განმავლობაში.

2.2. საპრივატიზებო თანხის გადახდა „მყიდველის“ მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

სალარე ანგარიში:
ანგარიშის დასახელება (მიმღები): სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო”
ანგარიშის ნომერი: GE50BG0000000655067100 / ანგარიშის ვალუტა: ლარი
მიმღები ბანკი: სს „საქართველოს ბანკი”; მიმღები ბანკის კოდი: №BAGAGE22

2.3. საპრივატიზებო თანხა გადახდილად ჩაითვლება მისი გამყიდველის ანგარიშზე ასახვის მომენტიდან.

2.4. ხელშეკრულების 2.2. მუხლში მითითებული საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში, „გამყიდველი“ წერილობით აცნობებს “„მყიდველს“.

მუხლი 3. „მხარეთა” უფლება-მოვალეობები

3.1. „მყიდველი” ვალდებულია:

3.1.1. უზრუნველყოს ,,ქონებაზე“ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცხოველების, ფრინველების და თევზების საკვების მწარმოებელი საწარმოს შექმნა და წარმოების დაწყება „განკარგულების“ გამოცემიდან არაუმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში.

3.1.2. „ხელშეკრულების“ 3.1.1. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების მიზნით უზრუნველყოს არანაკლებ 2 602 524 (ორი მილიონ ექვსასორიათას ხუთასოცდაოთხი) ლარის ინვესტიციის განხორციელება შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

ა) ინვესტიციის არანაკლებ 25% - ,,განკარგულების“ გამოცემიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში;

ბ) ინვესტიციის დარჩენილი ნაწილი - ,,განკარგულების“ გამოცემიდან მეორე წლის განმავლობაში;

3.1.3. „ხელშეკრულების“ 3.1.1. მუხლით გათვალისწინებული წარმოების დაწყებიდან არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში წარმოების პროფილის შენარჩუნება და ,,განკარგულების“ გამოცემამდე შემოთავაზებული პროდუქციის წლიური მოცულობის, კერძოდ, არანაკლებ 8 000 (რვა ათასი) ტონა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცხოველების, ფრინველების და თევზების საკვების წარმოების უზრუნველყოფა შემდეგი პირობებით:

ა) წარმოების დაწყებიდან პირველი წლის განმავლობაში არანაკლებ 8 000 (რვა ათასი) ტონა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცხოველების, ფრინველების და თევზების საკვების არანაკლებ 25%-ის წარმოება;

ბ) წარმოების დაწყებიდან მეორე წლის განმავლობაში არანაკლებ 8 000 (რვა ათასი) ტონა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცხოველების, ფრინველების და თევზების საკვების 50%-ის წარმოება.

3.1.4. დაფაროს „ქონებაზე“ საკუთრების უფლების და „ხელშეკრულებით” ნაკისრი ვალდებულებების სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ (შემდგომში - ,,რეესტრი“) რეგისტრაციის, აგრეთვე, ”ხელშეკრულების” გაფორმებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯ(ებ)ი;

3.1.5 „ხელშეკრულების“ 3.1.2. მუხლით გათვალისწინებული გრაფიკის თითოეული ეტაპის ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 30 დღისა „გამყიდველს“ წარუდგინოს აუდიტორული/საექსპერტო დასკვნა, რომელიც მომზადებული უნდა იყოს ”საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ

ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით განსაზღვრული ერთ-ერთი საექსპერტო ან/და აუდიტორული კომპანიის მიერ და რომელიც ასახავს „ხელშეკრულების" 3.1.1 და 3.1.2 მუხლებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

3.1.6 „ხელშეკრულების" 3.1.3. მუხლით გათვალისწინებული თითოეული წარმოების წლის ამოწურვიდან არაუგვიანეს 30 დღისა „გამყიდველს" წარუდგინოს აუდიტორული/საექსპერტო დასკვნა, რომელიც მომზადებული უნდა იყოს "საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით განსაზღვრული ერთ-ერთი საექსპერტო ან/და აუდიტორული კომპანიის მიერ და რომელიც ასახავს „ხელშეკრულების" 3.1.3 მუხლით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

3.1.7. „გამყიდველის" მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, „გამყიდველს" წარუდგინოს ინფორმაცია „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ;

3.2.„გამყიდველი" ვალდებულია, „მყიდველის" მიერ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაადასტუროს ვალდებულების სრულად ან მისი ნაწილის შესრულების მიღება, რაც „რეესტრში" შესაბამისი ვალდებულების მოხსნის ან მასში ცვლილების რეგისტრაციის საფუძველია.

3.3. „მხარეები" ვალდებულნი არიან შეასრულონ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, „ხელშეკრულებით" დათქმულ დროსა და ადგილას.

მუხლი 4. „ხელშეკრულების" განსაკუთრებული პირობები

4.1 „მყიდველს" „ქონებაზე" საკუთრების უფლება გადაეცემა „ხელშეკრულების" გაფორმების და საკუთრების უფლების „რეესტრში" რეგისტრაციის მომენტიდან, ამასთან, „ქონებაზე" საკუთრების უფლება "მყიდველს" გადაეცემა „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.

4.2. „მყიდველს" „ქონება" მფლობელობაში გადაეცემა საკუთრების უფლების „რეესტრში" რეგისტრაციის მომენტიდან.

4.3. „ქონებაზე" საკუთრების უფლებასთან ერთად „რეესტრში" რეგისტრირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, მათ შორის საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულება.

4.4. „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება „გამყიდველის" მიერ მათი შესრულების წერილობით დადასტურების მომენტიდან.

4.5 „ხელშეკრულების" 3.1.1 და 3.1.2 მუხლებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების დადასტურება „გამყიდველის" მიერ განხორციელდება „მყიდველის" მიერ „გამყიდველისათვის" „ხელშეკრულების" 3.1.5 მუხლის შესაბამისად წარდგენილი აუდიტორული ან საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, ხოლო „ხელშეკრულების" 3.1.3 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების დადასტურება „გამყიდველის" მიერ განხორციელდება „მყიდველის" მიერ „გამყიდველისათვის" „ხელშეკრულების" 3.1.6 მუხლის შესაბამისად წარდგენილი აუდიტორული ან საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.

4.6. „მყიდველის" მიერ "ხელშეკრულებით" განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის" ვადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების" მოქმედების პერიოდში "მყიდველის" მიერ „ქონების" გასხვისების შემთხვევაში, „მყიდველი" ვალდებულია, „ქონება" ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო „ხელშეკრულებით". „ქონების" გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს "გამყიდველს".

4.7. „მხარე" უფლებამოსილია, „ქონების" „საპრივატიზებო თანხის" გადახდის შემდგომ, „სააგენტოს" წერილობითი თანხმობის არსებობობის შემთხვევაში, იპოთეკით დატვირთოს „ქონება". ამათან, „ქონების" იპოთეკით დატვირთვის შემთხვევაში იპოთეკარის მიმართ იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის

შეუსრულებლობის გამო იპოთეკით დატვირთული ქონების იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლისას ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით რეალიზაციისას (მიუხედავად ასეთი რეალიზაციის ფორმისა) ახალ და ყოველ შემდგომ მესაკუთრეზე სრულად გადადის „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მყიდველის“ ვალდებულებები.

4.8. „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით” განსაზღვრული „საპრივატიზებო თანხის“ გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების” მოქმედების პერიოდში „მყიდველის” მიერ „ქონების” ნაწილის გასხვისების შემთხვევაში, ახალი მესაკუთრე „მყიდველთან” ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს „ხელშეკრულებით” ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის. „ქონების” ნაწილის გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს „გამყიდველს”.

მუხლი 5. საბანკო გარანტია

5.1. სს “ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ 2015 წლის 10 თებერვალს გაცემული №BGCP0348/100215 საბანკო გარანტია (შემდეგში - ,,საბანკო გარანტია“) რომელიც უზრუნველყოფს ხელშეკრულების 2.1, 3.1.1 და/ან 3.1.2 მუხლებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასა და/ან ამავე ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას.

5.2. მყიდველი ვალდებულია ,,საბანკო გარანტიის“ თანხის ოდენობის შემცირების შემთხვევაში 1 თვის ვადაში შეავსოს იგი მის სრულ ოდენობამდე.

5.3. „მყიდველის” მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად ,,გამყიდველის“ მხრიდან, ხელშეკრულების 6.9. და/ან 6.10. მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, „საბანკო გარანტიის“ თანხა სრულად ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

მუხლი 6. „მხარეთა” პასუხისმგებლობა და „ხელშეკრულების” შეწყვეტა

6.1. „ხელშეკრულებით” ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ”მყიდველი” იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება

დარღვევის გამოსწორების ვადა, გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც პირგასამტეხლოს თანხა უნდა იქნას გადახდილი.

6.2. „ხელშეკრულების" 2.1 მუხლით განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო დარჩენილი გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.3. „ხელშეკრულების" 3.1.1 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.4. „ხელშეკრულების" 3.1.2 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.5. „ხელშეკრულების" 3.1.3 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.6 ,,ხელშეკრულების" 3.1.7 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთვევაში ,,მყდველს" ეკისრება პირგაამტეხლო, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

6.7. „ხელშეკრულების" 5.2 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო საბანკო გარანტიის შესავსები თანხის 0.1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.8. „ხელშეკრულებით" ნაკისრი სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, თითოეული ვალდებულების დარღვევისათვის „მყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.9. „მყიდველის" მიერ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით (დამატებით ვადაში) შეუსრულებლობის და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში „გამყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს „ხელშეკრულება".

6.10. „ხელშეკრულების" ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, „ქონება" უბრუნდება „გამყიდველს". „მყიდველს" არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები, ხოლო „ქონებაზე" რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება.

6.11. „ხელშეკრულების" მოქმედების პერიოდში, დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მყიდველს" „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. „მხარეები" თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან „ხელშეკრულებით" განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებით. „ხელშეკრულების" მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება „გამყიდველის" ან „მყიდველის" კონტროლის ფარგლებს და რომლის დადგომაც „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის, და რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით და სხვა სახის წარმოების შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ან სხვა სამხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული მოქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრებით, ზვავებით ან სხვა მსგავსი მოვლენით, რომელიც არ ექვემდებარება იმ „მხარის" კონტროლს, რომელზეც ასეთი ფორს-მაჟორული მოვლენა ახდენს გავლენას და რომლის თავიდან აცილება ასეთ "მხარეს" არ შეეძლო.

7.2. „მხარე", რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორს-მაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო, ვალდებულია, აცნობოს მეორე „მხარეს" ხსენებული გარემოების ან მოვლენის როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, "მხარე" კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ მოვლენებზე და გარემოებებზე, როგორც

ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. აღნიშნულ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ფორს-მაჟორული მოვლენის ან გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ „მხარის" მიერ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში „მხარეების" მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.

7.4. ვადის ათვლა განახლდება იმ ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწევს შეჩერების ხანგრძლივობის შესაბამისად.

7.5. ფორს-მაჟორული გარემოებების 1 (ერთი) თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში, „მხარეები" უფლებამოსილნი არიან განიხილონ „ხელშეკრულების" შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების საკითხი.

7.6. ფორს-მაჟორული გარემოებების 3 (სამი) თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში, „მხარეები" უფლებამოსილნი არიან განიხილონ „ხელშეკრულების" შეწყვეტის საკითხი.

მუხლი 8. შეტყობინებები

8.1. ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა „მხარეებს" შორის უნდა განხორციელდეს წერილობით, ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნას პირადად, შეკვეთილი წერილის ან კურიერის მეშვეობით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან სხვა მისამართზე წინასწარი შეტყობინებით.

8.2. „ხელშეკრულების" მიზნებისათვის, „მხარეთა" რეკვიზიტებია:

8.2.1. **„გამყიდველის" შემთხვევაში:**

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"

მისამართი: გ. ჭანტურიას ქ. №12, ქ. თბილისი, საქართველო

ტელ: +995 32 299 11 05 / +995 32 299 11 11

8.2.2. **„მყიდველის" შემთხვევაში:**

შპს აგრო თრეიდინგ ჯორჯია
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ისნის რაიონში, რუსთავის გზატკეცილი.№68ა
ტელ: 599552160

8.3. „მყიდველი" ვალდებულია, შეატყობინოს „გამყიდველს" მის საიდენტიფიკაციო მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის, მისამართის ცვლილების შესახებ, ამგვარი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, „გამყიდველის" მიერ „მყიდველის" ძველ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, მათ შორის, წერილობითი გაფრთხილება, ჩაითვლება ჩაბარებულად.

მუხლი 9. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

9.1. "ხელშეკრულება" რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. "მხარეთა" შორის დავის არსებობის შემთხვევაში, დავას წყვეტს საქართველოს საერთო სასამართლოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. სხვა დებულებები

10.1. "ხელშეკრულებაში" ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა დასაშვებია მხარეთა წერილობითი თანხმობით, ,,ხელშეკრულებაში" ცვლილების შეტანის გზით, რომლისთვისაც დაცული უნდა იყოს იგივე ფორმა, რაც გათვალისწინებულია "ხელშეკრულებისთვის".

10.2. "ხელშეკრულების" ყველა ცვლილება/დამატება და/ან დანართი წარმოადგენს "ხელშეკრულების" განუყოფელ ნაწილს.

10.3. "ხელშეკრულების" ცალკეული პუნქტების გაუქმება და/ან ბათილობა არ იწვევს "ხელშეკრულების" სხვა პუნქტების გაუქმებას და/ან ბათილობას.

10.4. სათაურები "ხელშეკრულებაში" მოცემულია მითითების გაადვილების მიზნით და არ იქონიებს ზემოქმედებას რაიმე სახით მოცემული პირობების ინტერპრეტაციაზე.

10.5. "ხელშეკრულება" გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა "მხარეებს" და "რეესტრს".

10.6. "ხელშეკრულება" ძალაში შედის "მხარეთა" მიერ მისი ხელმოწერისა მომენტიდან.

„გამყიდველი"

წარმომადგენელი:
გვანცა ნასყიდაშვილი



„მყიდველი"

წარმომადგენელი:
ბექა ბექაია



ხელშეკრულება

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „აგრო თრეიდინგ ჯორჯიას“ შორის 2015 წლის 10 მარტს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი, **25 აგვისტო 2017 წელი**

ერთი მხრივ, **სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო** (შემდგომში, ,,გამყიდველი“), წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის შტატგარეშე მომუშავის სალომე მესხიას (პირადი №01005030011) სახით, სსიპ ”სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს” თავმჯდომარის მიერ 2017 წლის 3 იანვარს გაცემული №4/139 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

და მეორე მხრივ, **შპს „ნუტრიმაქსი“** (ს/კ 206330709) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბექა ბექაიას (პ/ნ 01011022232) სახით (შემდგომში „მყიდველი“) შემდგომში ერთად წოდებული, როგორც ”მხარეები”, ცალკე კი „მხარე“,

ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „აგრო თრეიდინგ ჯორჯიასათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის N301 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და შპს „ნუტრიმაქსის“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 3 აგვისტოს N1610 განკარგულებითა (შემდგომში: „განკარგულება“) და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „აგრო თრეიდინგ ჯორჯიას“ (ამჟამად შპს „ნუტრიმაქსი“) შორის 2015 წლის 10 მარტს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით (შემდგომში: „ნასყიდობის ხელშეკრულება“) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში: „ცვლილების ხელშეკრულება“) შემდეგზე:

მუხლი 1

„ნასყიდობის ხელშეკრულებაში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1.1. ,,ნასყიდობის ხელშეკრულების“ 3.1.1. მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1.1. უზრუნველყოს „ქონებაზე“ (გარდა N01.18.13.034.030 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკეთისა) სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების ცხოველების, ფრინველებისა და თევზების საკვების მწარმოებელი საწარმოს შექმნა და წარმოების დაწყება „განკარგულების“ გამოცემიდან არა უმეტეს 2 (ორი) წლის ვადაში;“.

1.2. „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 3.1.5, 3.1.6 მუხლები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1.5 „ხელშეკრულების 3.1.1 მუხლით დადგენილი ვალდებულების შესრულების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 45 კალენდარული დღისა, ამავე ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით, „გამყიდველს“ წარუდგინოს ხელშეკრულების 4.5 მუხლის შესაბამისად მომზადებული აუდიტორული დასკვნა;

3.1.6 „ხელშეკრულების 3.1.2 მუხლით დადგენილი გათვალისწინებული ინვესტიციის განხორციელების გრაფიკის თითოეული ეტაპის ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 45 კალენდარული დღისა, ამავე ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით, „გამყიდველს“ წარუდგინოს ხელშეკრულების 4.5 მუხლის შესაბამისად მომზადებული აუდიტორული დასკვნა;

1.3. „ნასყიდობის ხელშეკრულებას“ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3.1.6[1] მუხლი:

„3.1.6[1] „ხელშეკრულების 3.1.3 მუხლით გათვალისწინებული წარმოების თითოეული წლის ამოწურვიდან არაუგვიანეს 45 კალენდარული დღისა, ამავე ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით, „გამყიდველს“ წარუდგინოს ხელშეკრულების 4.5 მუხლის შესაბამისად მომზადებული აუდიტორული დასკვნა;“

1.4. „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 4.5 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.5. „ხელშეკრულების“ 3.1.1, 3.1.2 და 3.1.3 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულების დადასტურება განხორციელდება:

ა) შესაბამისი აუდიტორული დასკვნის საფუძველზე რომელიც უნდა შეიცავდეს რწმუნებას შესაბამისი ვალდებულების შესრულების თაობაზე და გაცემული უნდა იყოს:

ა.ა) 2017 წლის 1 იანვრიდან - 2018 წლის 1 იანვრამდე - „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის

2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებულ „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხაში“ (შემდგომში - ნუსხა) მითითებული ერთ-ერთი აუდიტორული ფირმის მიერ რომელსაც „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე მიენიჭა დროებითი უფლებამოსილება.

ა.ბ) 2018 წლის 1 იანვრიდან - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული აუდიტორული ფირმის მიერ.

1.5 „ნასყიდობის ხელშეკრულებას“ 4.8 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4.9 და 4.10 მუხლები:

„4.9. „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდამდე, „მყიდველს“ არ აქვს უფლება „ქონება“ გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს „ხელშეკრულების“ 4.7. მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა.

4.10. „მყიდველის“ მიერ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული საპრივატიზებო თანხის გადახდის შემდეგ, „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში „მყიდველს“ უფლება არ აქვს „გამყიდველთან“ შეთანხმების გარეშე „ქონება“ გასცეს სარგებლობაში ან სხვაგვარად დატვირთოს.“

1.6 „ნასყიდობის ხელშეკრულებას“ 6.5 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6.5[1] მუხლი:

„6.5[1] „ხელშეკრულების“ 3.1.5 - 3.1.6[1] მუხლებით განსაზღვრული თითოეული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

1.7. „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 6.8 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.8 „ხელშეკრულების“ 3.1.7 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების თითოეულ ჯერზე შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება ერთჯერადი პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.“

მუხლი 2

მხარეები თანხმდებიან, რომ „მყიდველი“ თავისუფლდება „ნასყიდობის ხელშეკრულების“ საფუძველზე 2017 წლის 11 მარტიდან „ცვლილების ხელშეკრულების“ გაფორმებამდე დაკისრებული / დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან.

მუხლი 3

მხარეები ადასტურებენ რომ შპს „ნუტრიმაქსის“ მიერ „ცვლილების ხელშეკრულების“ გაფორმებამდე გადახდილია „განკარგულების“ მესამე პუნქტით გათვალისწინებული თანხა 107 604 (ას შვიდი ათას ექვსას ოთხი) ლარის ოდენობით.

მუხლი 4

4.1.„ნასყიდობის ხელშეკრულებაში“ განხორციელებული ცვლილებ(ები)ა არ ცვლის „ნასყიდობის ხელშეკრულების“ სხვა მუხლების შინაარსს. ყველა სხვა მუხლით დადგენილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები რჩება უცვლელი.

4.2.„ნასყიდობის ხელშეკრულებაში“ განხორციელებული ცვლილებ(ები)ა და დამატებ(ები)ა მიიჩნევა „ნასყიდობის ხელშეკრულების“ შინაარსის ნაწილად და მხედველობაში მიიღება „ნასყიდობის ხელშეკრულების“ განმარტების დროს.

მუხლი 5

5.1. წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულება“ ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

5.2. „მყიდველი“ ვალდებულია წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულების“ გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში მიმართოს შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და უზრუნველყოს წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულების“ დარეგისტრირება.

5.3 წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულების“ რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯ(ებ)ი იფარება „მყიდველის“ მიერ.

5.4 წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულება“ შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად რომელიც გადაეცემა მხარეებსა და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს.

”გამყიდველი”

სსიპ - სახელმწიფო

ქონების ეროვნული სააგენტო

წარმომადგენელი:

სალომე მესხია

”მყიდველი”

შპს „ნუტრიმაქსი“

დირექტორი

ბექა ბექაია

KA021731459768517

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, თ.ჭოველიძის ქ.10ა

10a T.Chovelidze Str.,0108 Tbilisi,Georgia

N4/47860

18 / სექტემბერი / 2017 წ.

შპს "ნუტრიმაქსი" (ს/კ 206330709)
მის: ქ. თბილისი, რუსთავის გზატ. N 68ა.
სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას"
მის: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქუჩა №14

თქვენი 2017 წლის 06 სექტემბრის № 79390/ფ განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ამავე განცხადებით წარმოდგენილი, შპს „ბიდიო“-ს მიერ 2016 წლის 13 ოქტომბერს მომზადებული აუდიტორული დასკვნის საფუძველზე, სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ადასტურებს თქვენ მიერ, 2015 წლის 10 მარტს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების (ცვლილება: 25.08.2017წ, შემდგომში ერთად - ხელშეკრულება) 3.1.1 და 3.1.2 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

ამასთანავე შეგახსენებთ, რომ თქვენ მიერ შესასრულებელი რჩება ხელშეკრულების 3.1.3 მუხლით გათვალისწინებული და მისგან გამომდინარე, ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები. აქვე გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცხოველების, ფრინველებისა და თევზების საკვების მწარმოებელი საწარმოს შექმნა და წარმოების დაწყების ვალდებულების შესრულება დასტურდება 2016 წლის 29 სექტემბრიდან რაც იმას გულისხმობს, რომ 3.1.3 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადები აითვლება წარმოების დაწყების (29.09.2016წ) მომენტიდან.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს არ გააჩნია სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ 2015 წლის 10 თებერვალს გაცემული № BGCP0348/100215 საბანკო გარანტიიდან (ცვლილება: 08.09.2017წ) გამომდინარე მოთხოვნის უფლებები.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თავმჯდომარე

ეკატერინე სისაური

პროკრედიტ ბანკი –
საკრედიტო განყოფილება

ავტორი : გიორგი ნიკოლაშვილი

ტელეფონი : +995 202222 (შიდა. 5177)
ფაქსი : +995 32 20 22 23
ელ-ფოსტა : g.nikolashvili@procreditbank.ge

თარიღი : 29.09.2017

შპს ნუტრიმაქსს ს/კ 206330709
თბილისის მერიაში წარსადგენად

თანხმობა

სს "პროკრედიტ ბანკი" თანახმაა უძრავ ქონებაზე, რომელიც განთავსებულია შპს „ნუტრიმაქსის" ტერიტორიაზე (მდებარე თბილისში, დასახლება ზემო ფონიჭალა, ღოღობერიძის 67, საკადასტრო კოდები 01.18.13.034.027, 01.18.13.034.026, 01.18.13.027.011, 01.18.13.034.030, 01.01.947, 01.01.928, 01.01.969), რომლიც იპოთეკით დატვირთულია სს „პროკრედიტ ბანკის" სასარგებლოდ განხორციელდეს სამშენებლო-სარეკონსრუქციო სამუშაოები, იმ პირობით რომ უძრავ ქონებაზე იპოთეკის უფლება ს.ს. ,,პროკრედიტ ბანკის" სასარგებლოდ არ შემცირდება და ასევე გავრცელდება სამშენებლო სარეკონსტრუქციო სამუშაოების შედეგად მიღებულ ქონებაზე .

პატივისცემით,

ს.ს "პროკრედიტ ბანკი", საქართველო

ფილიალის მმართველის მოადგილე

ზაალი მელიქია

ბიზნეს კლიენტთა მრჩეველი

გიორგი ნიკოლაშვილი

1620103

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

23.05.2017

ProCredit Bank, 21 Al. Kazbegi Ave., 0160 Tbilisi, Georgia
პროკრედიტ ბანკი, აღ. ყაზბეგის გამზ. 21, 0160 თბილისი

სათავო ოფისი
იურიდიული განყოფილება

ავტორი : ნონა კალანდაძე

ტელეფონი : +995 32 2202222 (შიდა 1521)
ფაქსი : +995 32 2202223
ელ-ფოსტა : nona.kalandadze@procreditbank.ge

თარიღი : 23.05.2017

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

ტელ.: (+995 32) 2722222
ფაქსი: (+995 32) 237 82 24
მის.: ჟ. შარტავას ქ. №7
ქ. თბილისი, 0160, საქართველო

თემა: მინდობილობა უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

სს „პროკრედიტ ბანკის“ დირექტორებმა: სს „პროკრედიტ ბანკის“ დირექტორებმა: დავით გაბელაშვილმა (პირადი №60003004958) და ალექსი მატუამ (პირადი №19001003556) შემდგომში „მინდობილობის გამცემი“ პირები, მივანიჭეთ უფლებამოსილება ამავე ბანკის შემდეგ თანამშრომლებს:

I სვეტი:
ზეინაბ ლომაშვილი პ/ნ 60001084552
გრიგოლი სალიაშვილი პ/ნ 01031000540
დავითი დემეტრაძე პ/ნ 60001000315
გიორგი ყურაშვილი პ/ნ 49001003492
გიორგი ვადაჭკორია პ/ნ 01009011025
გრიგოლ კაციტაძე პ/ნ 04001001988
ბექა ბიბილაშვილი პ/ნ 01008016347
რევაზ მახარაძე პ/ნ 61007002761
მიხეილ შატავიძე პ/ნ 01017013204
ზაალი მელიქია პ/ნ 42001003290
გიორგი ლომიძე პ/ნ 01003009586
თამარ გერაძე პ/ნ 60001040187

II სვეტი:
ნინო შეყრილაძე პ/ნ 35001115071
გიორგი ცოცხალაშვილი პ/ნ 23001002596
მარიტა შეშაბერიძე პ/ნ 47001042048
ნინო გვანცელაძე პ/ნ 01019069303
გიორგი ნიკოლაშვილი პ/ნ 01012019025
ნიკოლოზ ბურდული პ/ნ 01029017139
პავლე პეტროსიანი პ/ნ 01008016091
თამარ წოწკოლაური პ/ნ 01003013436
ზურაბ ფირაშვილი პ/ნ 40001007821
სოფიო ლორთქიფანიძე პ/ნ 01009006803
თამარ ვაჩნაძე პ/ნ 01026004017
მარიამ კვარაცხელია პ/ნ 35001089569
მარიამ ხიდეშელი პ/ნ 01019074228
კობა კალანდია პ/ნ 62004023017
დავით ალაშვილი პ/ნ 53001004306
დურმიშხან ირემაძე პ/ნ 60001016369
დავით ქოჩიაშვილი პ/ნ 60002018357
გიორგი ცაავა პ/ნ 62001037993
ხატია ქირია პ/ნ 01017021105
ნინო ჭუმბურიძე პ/ნ 01024056409
თეიმურაზ მანჯგალაძე პ/ნ 60002009932
ხათუნა არჩვაძე პ/ნ 01013006648
ქეთევან შეყრილაძე პ/ნ 01017041638
მირანდა ჩიტაია პ/ნ 62001030046
გიგი ჩაუჩიძე პ/ნ 57001011863
არტურ მანუკიანი პ/ნ 01001053896
ფიქრია იობაშვილი პ/ნ 45001003766
ლაშა ბოკჩავა პ/ნ 42001007000
ნინო ჭანტურია პ/ნ 01024022992

1615776

ნინო თარხნიშვილი პ/ნ 01027017266
ანა თოთლაძე პ/ნ 01005009211
ილია ფარეშიშვილი პ/ნ 20001009105
თინათინ ედიბერიძე პ/ნ 01015013973

წარმოადგინონ სს „პროკრედიტ ბანკი“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში. ამასთან, ნებისმიერი, მეორე სვეტში მოცემული პირი, უფლებამოსილია ხელი მოაწეროს ნებისმიერ, პირველი სვეტში მოცემულ პირთან ერთად, ბანკის მიერ გაცემულ წერილებს და ამასთან დაკავშირებით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება.
აღნიშნული უფლებამოსილება ზემოჩამოთვლილ პიროვნებებს მინიჭებული აქვთ წინამდებარე მინდობილობაზე მითითებული თარიღიდან, მინდობილობის გადანდობის გარეშე. მინდობილობა ძალაშია განუსაზღვრელი ვადით, ბანკის მიერ არქიტექტურის სამსახურში მინდობილობის გაუქმების შესახებ შესაბამისი წერილობითი დოკუმენტის წარდგენამდე.

პატივისცემით,

სს „პროკრედიტ ბანკი“

დავით გაბელაშვილი — *დირექტორი*

ალექსი მატუა — *დირექტორი*

თანხმობა

ქ. რუსთავი 03 აპრილი 2017 წელი

მე, ალექსი გელაშვილი (პირადი №35001005752), როგორც არქიტექტორი, უძრავი ქონებისა მდებარე: . თბილისი, დასახლება ზემო ფონიჭალა, ღოღობერიძის ქუჩა №67 (საკადასტრო კოდი №01.18.13.034.027) რომლის მესაკუთრეც არის შპს „წყტრიმაქსი“ (ს/კ 206330709) თანხმობას ვიძლევი მას‘ზედ, რომ ჩემს მიერ შეთანხმებული პროექტის კორექტირება და პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში გააგრძელოს ნებისმიერმა არჩიტექტორმა.

აღნიშნულთან დაკავშირებით არანაირი პრეტენზია არ გამაჩნია და არც მომავალში მექნება, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით

ალექსი გელაშვილი ----------

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N170337683

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი 03.04.2017 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება

ნოტარიუსი მაია მეტრეველი

სანოტარო ბიუროს მისამართი ქალაქი რუსთავი, შარტავას გამზირი 5 100

სანოტარო ბიუროს ტელეფონი 0341279293

სანოტარო მოქმედების იდენტიფიკაციის ნომერი 085928943743l7

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მათ შორის, შეცვლის ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე www.notary.ge და(ან) შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონზე: 995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ჩვიდმეტი წლის სამ აპრილს მე, ნოტარიუს მაია მეტრეველს (სანოტარო ბიურო, მდებარე მისამართზე: ქ.რუსთავი, შარტავას გამზირი 5 100, პირველი სართული), მიმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა ბატონმა ალექსი გელაშვილმა (დაბადებული 08.06.1951წ. რუსთავი, პირადი #35001005752 პირადობის მოწმობა 13IN76200, გაცემული იუსტიციის სახლის მიერ 17.09.2015წ., რეგისტრირებული მისამართზე: ქ.რუსთავი, ხალხთა მეგობრობის გამზ. კორ. 30 ბ. 76). მან წარმოადგინა თანხმობა (03.04.2017წ.) და მოითხოვა მასზე მისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა. განვუმარტე დოკუმენტზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. ალექსი გელაშვილმა ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი დოკუმენტს, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია საზღაური 2 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლის მე-3 პ., აგრეთვე 0,36 ლარი დღგ თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა და 2 ლარი ელექტრონულ რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 39 მუხლის 1 პუნქტისა, სულ 4.36 ლარი.

ნოტარიუსი მაია მეტრეველი ------- -------- -------- ---------------------- -------- ------- -------- --------